

# ტექნოლოგია

3





## Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*  
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!  
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!  
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!  
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!  
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!  
Minlərlə can qurban oldu!  
Sinən hər bə meydan oldu!  
Hüququndan keçən əsgər,  
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,  
Sənə hər an can qurban!  
Sənə min bir məhəbbət  
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,  
Bayrağını yüksəltməyə  
Cümlə gənclər müştəqdir!  
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!  
Azərbaycan! Azərbaycan!



**კამილარ ალიევი**

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი



ნათიგ ახუნდოვი, ჰუმეირ აჰმედოვი,  
სვეტლანა ყანაევა, ხურამან სალიმოვა

# ტექნოლოგია

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 3-ე კლასის  
მოსწავლეთათვის ტექნოლოგიის საგნის

**სახელმძღვანელო**

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
განათლების სამინისტროს 05.07.2010 წლის  
№973 ბრძანებულებით

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი  
რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული  
საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

**გამომცემლობა «Aspoligraf LTD»**

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და  
წინადადებები გამოაგზავნოთ [aspoligraf.ltd@gmail.com](mailto:aspoligraf.ltd@gmail.com) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az)  
ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან  
თანამშრომლობისათვის!

## ძვირფასო მოსწავლეებო

თქვენ III კლასში “ტექნოლოგიის” დარგში ცოდნასა და შესაძლებლობებს განვიითარებთ, რათა შესძლოთ მცირე ინფორმაციების მომზადება. ავტორები შეეცადნენ, რომ სახელმძღვანელო ლამაზი და მიმზიდველი იყოს და იმედოვნებენ, რომ იგი თქვენთვის უაღრესად საინტერესო და გასართობიც კი იქნება. ვფიქრობთ, რომ ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით თქვენ წარმოების ტექნოლოგიის მნიშვნელობას გაიგებთ. შესძლებთ მოცემული მასალიდან სხვადა-სხვა მცირე ინფორმაციის მომზადებას. მოიპოვებთ ცოდნას ტექნოლოგიური მანქანებისა და საშუალებების შესახებ. შეიძენთ გამოცდილებას, რომელიც საზოგადოებაში აუცილებლობას წარმოადგენს და შესძლებთ საგნების გრაფიკული გამოსახულების შედგენას. ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით თქვენ ისწავლით საცხოვრისისა და სამოსის მორთვა-გალამაზებას, აითვისებთ იმის უნარს, რომ თქვენს ახლობლებსა და მეგობრებს გაუკეთოთ ძვირფასი საჩუქრები, ააწყოთ სათამაშოები.

მრავალი დავალება თქვენგან მოქნილობას, აზროვნებასა და ფანტაზიას მოითხოვს. გვინდა გვჯეროდეს, საქმე ისე საინტერესოდ წარიმართება, რომ თქვენ არათუ გაკვეთილზე, სახლშიც კი რაიმეს გაკეთების სურვილი გაგიჩნდებათ. რადგანაც უკვე II კლასიდან იცით, რომ ამისათვის ძვირადღირებული და ძნელადმოსაპოვებელი მასალა არ დაგჭირდებათ.

მასწავლებლების მიერ მოფიქრებული დავალებების შესრულებისას დაინახავთ, რომ პლასტილინითა და უბრალო ბუნებრივი მასალებითაც კი, თუნდაც ქაღალდით, კარდონით, ძაფისა და ქსოვილის ნარჩენებიდან შესაძლებელია სხვადა-სხვა საგნების გაკეთება. შეგიძლიათ ფანტაზიას უხმოთ და ისეთი რამეებიც გააკეთოთ, რაც გაკვეთილზე არ დაუვალეიათ.

## გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!

ქვემოთ მოცემული ნიშნები დავალების შესრულებისას სხვადა-სხვა დამოკიდებულებასა, თუ მიდგომას გამოხატავენ:



დაფიქრდით



დააკვირდით



დავალება შეასრულეთ



იმსჯელეთ თქვენი აზრების შესახებ



გამოიტანეთ დასკვნა



იმისათვის, რომ მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებლად გამოიყენოთ, შეასრულეთ შემოქმედებითი დავალება



ყურადღებით იყავით ბასრი და წვერმახვილი ხელსაწყოებით მუშაობისას, გახსოვდეთ უსაფრთხოების წესები.




დამოუკიდებლად შეასრულეთ ესკიზი.



### ტექნოლოგია ჩვენს ირგვლივ





რასაც ჩვენს გარემოში ვხედავთ, ბუნებისა და ადამიანის მიერაა შექმნილი. ადამიანებმა სახლის აშენება, საკვების მოპოვება და ცხოვრებისათვის საჭირობოროტო საგნების გაკეთება ისწავლეს. ეს ყოველივე შრომის შედეგად მიიღწევა.



რა არის შრომა?


რისთვისაა საჭირო ადამიანის შრომა?

იცნობთ ხელობებს, რომლებიც სურათებზეა წარმოდგენილი?



**შრომა** – ეს არის ადამიანის მიზანმიმართული შემოქმედებითი ქმედება. მხოლოდ შრომის მეშვეობით შეიძლება ახლის სწავლა, რაღაცის გაკეთება, ცხოვრების შეცვლა და გამრავალფეროვნება.





**ტექნოლოგია** ეწოდება მეთოდსა და წესებს, რომლებსაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად იყენებენ. **სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის** დახმარებით ხორბალი, ხილი და ბოსტნეული მოჰყავთ. იყენებენ რა **კვების ტექნოლოგიას**, ხორბლისგან პურს აცხობენ, ხილისგან კი მურაბასა და ჯემს ხარშავენ.

იმისათვის, რომ ადამიანებმა კავშირი დაამყარონ ტელეფონით, უყურონ ტელევიზორს, ინფორმაცია მიიღონ და გაავრცელონ, იქმნება და გამოიყენება **საინფორმაციო ტექნოლოგია**.

## შეკითხვები



1. თქვენ შრომის რომელი სახეობით ხართ დაკავებული?
2. რატომ ასრულებთ ამას?
3. შრომა თუა გაკვეთილის მომზადება? და რატომ?
4. ჩამოთვალეთ ის, რაც ბუნებისა და ადამიანს შეუქმნია .
5. კიდევ რომელ ტექნოლოგიებს იცნობთ?



შრომის ხელსაწყოები

ნებისმიერი საქმის შესრულებისათვის შრომის ხელსაწყოებია საჭირო.



რომელ ხელსაწყოებს იყენებს მზარეული სამზარეულოში?  
რას იყენებს თერძი, როცა ტანსაცმელს კერავს?  
რატომ სჭირდება ყველა ხელობას შესაბამისი ხელსაწყო?



ყურადღებით დააკვირდით სურათს.



ჩამოთვალეთ ხელსაწყოების სახელები. რა შეიძლება გაკეთდეს თვითიული მათგანის მეშვეობით? სურათზე წარმოდგენილი საგნებიდან რომელი არაა ხელსაწყო?

**ხელსაწყო** — არის შრომის საშუალება, რომელიც ცვლის საგნის ფორმას, ზომასა და სახეს. ხელოსანი ვერაფერს გახდება ხელსაწყოების გარეშე.


ხელსაწყო ხელოსნის ქომაგია. ამიტომაც ხელოსანი ყოველთვის მზრუნველობით ეკიდება თავის ხელსაწყოებს, მათ სწორად ეპყრება. საჭიროა კარგად შევისწავლოთ ხელსაწყოები, მათი აგებულება და გამოყენების წესები.



რა ზიანი შეიძლება მოგვაყენოს ხელსაწყომ?



დააკვირდით სურათებს.





ჩამოთვალეთ ხელსაწყოების სახელები. იპოვეთ წყვილნაწილიანი ხელსაწყოები.

შინ და გაკვეთილზე ყველაზე ხშირად რომელ ხელსაწყოს იყენებთ?

რომლებია ბასრი და მახვილი ხელსაწყოები?

რომელი ხელსაწუოთი შეიძლება გავზომოთ?



ყურადღებით დააკვირდი სურათზე წარმოდგენილ ხელსაწყოებს.



რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეს ხელსაწყოები?

რამდენ ჯგუფად შეიძლება დაგვით ისინი?

იმ ხელსაწყოებს, რომლებიც ხელის წახმარებით სცვლიან მასალის ფორმას, ზომასა და სახეს, **ხელის ხელსაწუოები** ეწოდება.

ხელსაწყოებს, რომლებიც მექანიზმებისგან შედგებიან, **მაქანიკურ ხელსაწუოებს** უწოდებენ.

**მაქანიზმი** – ეს არის ურთიერთ დაკავშირებულ ნაწილების სისტემა, რომელიც გადასცემს და სცვლის მოძრაობას.


ხელსაწყოებს, რომლებიც ელექტროთი მუშაობენ, **ელექტრო ხელსაწუოებს** უწოდებენ.

## შეკითხვები




1. შინ და სკოლაში რომელ ხელსაწყოებს იყენებთ?
2. რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მექანიკური და ელექტრო ხელსაწყოები?  
რომელი ხელსაწყოებია გამოსახული სურათზე?

### მაკრატლის გამოყენება



მაკრატელი მეგობარს დაკვეთილი სახელურით მიაწოდეთ.




მაკრატლის პირს ზემოთ ნუ მიმართავთ.



მაკრატლის პირს გახსნილს ნუ დატოვებთ


როცა მაკრატელს იყენებთ მისი ჭრის მიმართულებას ყურადღებით დააკვირდით:




იმისათვის, რომ სწორად გაჭრათ, მაკრატელი სწორად ამოძრავეთ.



წრიული დეტალების გამოჭრისას მაკრატლის პირი ამოძრავეთ.



იმისათვის, რომ რთული კონტურების მქონე დეტალები გამოჭრათ, ჯერ სიცარიელენი საერთო ფორმით ამოჭერთ, შემდეგ კი პატარა ნაწილები დაამუშავებთ.



იმისათვის, რომ უწყვეტი ხაზი ამოჭრათ, ქაღალდი გამოსახულების მიმართულებით ამოძრავეთ, სხვადა-სხვა მხარეს შემოატრიალეთ და გაჭერით

- ნუ იმუშავებთ იმ მაკრატლით, რომელსაც პირი დაბლაგვებული აქვს, ან და ჭანჭიკი აქვს მოშვებული.
- როცა მაკრატლით ჭრით, ნუ იმოდრავებთ.
- მაკრატლით მუშაობისას მეგობარს ნუ მიუახლოვდებით.
- მაკრატელი მგიდაზე ისე დადეთ, რომ პირით შექცეული იყოს.
- მაკრატელი სპეციალურ ჩიხოლში ან ყუთში შეინახეთ.



### სადგისის გამოყენება



- სადგისი ტარით დაიჭირე.
- ხელსაწყო უსაფრთხო ადგილას შეინახე.
- მხოლოდ ფიცრის ზედაპორზე იმუშავეთ.
- მოინიშნეთ წერტილი, რომელიც უნდა გახვრიტოთ.
- სადგისის ტარი მარცხნივ და მარჯვნივ ატრიალეთ და ისე გახვრიტეთ.



### საკანცელარიო დანის გამოყენება

- როცა ქაღალდს ან კარდონს საკანცელარიო დანით ჭრით, ფიცრის საყრდენზე დამცველი სახაზავის დახმარებით გაჭერთ.



- როცა ქაღალდს ან კარდონს ჭრით, დანის წვერი ოდნავ გამოყავით.



- როცა ქაღალდს ჭრით, დანა გვერდულად მოიმარჯვეთ.



- როცა კარდოს ჭრით, საჭიროა, რომ დანა ვერტიკალურად დაიკავოთ და კარდონს მაგრად დააჭიროთ.
- მხოლოდ ფიცრის ზედაპორზე იმუშავეთ.

- როცა დანას აღარ ხმარობთ, სამართებელი შიგნით უნდა შეწიოთ.




### ნემსის გამოყენება



ნემსი მხოლოდ სანემსოში შეინახეთ



ძაფი გარკვეული სიგრძისა გაჭერით.



როცა ნემსს ძაფს უყრით, გასაყრელი გამოიყენეთ.



ნემსს, როცა სხვას აწვდით, ძაფიანი მხარით მიაწოდეთ.



კერვის დროს ნემსი ცერა თითსა და საჩვენებელ თითს შორის დაიკავეთ და სათითურიანი თითით ოდნავ მიაწექით.

- ნემსს პირში ნურასოდეს ნუ დაიკავეთ.
- ნემსსა და ქინძისთავს (გულაგვას) ტანსაცმელზე ნუ დაიმაგრევთ.
- ჟანგიანი ნემსით ნურასოდეს შეკერავთ.
- იგი ქსოვილში ძნელად შედის, ამიტომაც შეიძლება დააზიანოს, ან თავად გადაწყდეს.

### წებოს გამოყენება




- წებო შხამიანია! მისი გამოყენებისას ფრთხილად იყავით.
- წებო საგნის ზედაპირზე მხოლოდ კისტიტ წაუსვით.
- წებოს სახეზე, განსაკუთრებით კი თვალის არეში მოხვედრა სახიფათოა.
- თვალში მოხვედრილი წებო წყლით დიდხანს ამოირეცხეთ.
- როცა დაწეობას მორჩებით, ხელები დაიბანეთ და კისტი აუცილებლად გარეცხეთ.
- როცა წებოთი მუშაობთ, სველი პირსახოცი გამოიყენეთ.


### დეტალების მონიშვნის წესი







თვალით მონიშვნა



ტრაფარეტზე მონიშვნა




მყარ ზედაპირზე მონიშვნა





ჩაკეცვით მონიშვნა



სინათლის მიხედვით მონიშვნა



ასლის გადაღებით მონიშვნა




სწორკუთხა დეტალების მონიშვნა

### ფარგლის საშუალებით მონიშვნა

მრავალი საგნის მომზადებისას საჭიროა, წრის შემოხაზვა. რა არის წრე? წრე არის ხაზი, რომელიც სიმრგვალეს შემოსაზღრავს. მაგალითად, სურათზე ცისფერი სიმრგვალეა. შავი ხაზი მის საზღვრებს აღნიშნავს.



იმისათვის რომ ჩარჩოს ზომები მოვინიშნოთ, აუცილებელია ვაჩვენოთ მისი რადიუსები. რა არის რადიუსი?



**დაიმახსოვრეთ:** წრის ცენტრიდან ხაზამდე მანძილს რადიუსი ეწოდება. გეგმა-ნახაზებში რადიუსს ასე უჩვენებენ. **R30** ანუ უდრის **3** სანტიმეტრს.

ნახაზში წრე ზუსტად უნდა იყოს ნაჩვენები. ამ საქმეში ჩვენ ძალზედ საინტერესო ხელსაწყო - ფარგალი დაგვეხმარება.



მოდი ეს ხელსაწყო გავიცნოთ.


აიღეთ ფარგალი და მას ყურადღებით დააკვირდით.






აბა დაფიქრდით, ამ ხელსაწყოს გამოყენებისას რატომ გვჭირდება სიფრთხილე?!






ქვემოთ ნაჩვენებია ფარგლის გამოყენებით წრე ხაზის ნაწილებათ დაყოფა. ეს თანმიმდევრობით განახორციელეთ.






იხაზება საჭირო ზომის წრე, სახაზავისა და ფარგლის დახმარებით იგი ნაწილებად დაიყოფა.






წრე 2 და 4 ნაწილად იყოფა



წრე 6 ნაწილად იყოფა



წრე 8 ნაწილად იყოფა



წრე 12 ნაწილად იყოფა

### მოვემსახუროთ ჩვენს თავს




თქვენ თავს თუ ემსახურებით?  
როცა თავს ემსახურებით რას აკეთებთ?



მოდით, იმისათვის რომ დავიცვათ სანიტარულ—გიგიენური წესები და თავს მოვემსახუროთ. ყოველდღე გავაკეთოდ ის, რაც ამ სურათებზეა გამოსახული.



ავალაგოთ ჩვენი ლოგინი




ვივარჯიშოთ




ჩავიცვათ



მსუბუქი საუზმე მოვამზადოთ



ჩაი დავისხათ



ფეხსაცმელი ჩავიცვათ




სწორად ვიკვებოთ



ხელსახოცი და წინდები გავრეცხოთ




დავასუფთავოთ ოთახი



ფეხსაცმელები გავწმინდოთ



შევაკეთოთ საგნები, რომლებიც გვეკუთნის.



**შეკითხვები**

1. თვითმომსახურების კიდევ რომელ წესებს იცავთ?
2. რა მნიშვნელობა აქვს თვითმომსახურების წესების დაცვას?



დაიცავით თვითმომსახურების წესები.

## სანიტარულ-ჰიგიენური წესები



რა იცით სანიტარულ-ჰიგიენური წესების შესახებ?  
რატომაა საჭირო ეს ყველაფერი?

სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა ძალზედ აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.




ყოველ დილით როგორც კი გავიღვიძებთ საჭიროა, დავიბანოთ ხელები, პირი-სახე, კისერი და ყურები.



აუცილებელია დილით და ძილის წინ კბილები გამოვირეცხოთ, ყოველი ჭამის შემდეგ კი წყალი გამოვივლოთ. საჭიროა, რომ კბილები კბილის პასტითა და ჯაგრისით სამ წუთზე არა ნაკლები დროის მანძილზე გამოვიხეხოთ.



ხელები ყოველთვის ჭამისწინ და ჭამის მერე, ასევე სკოლიდან და სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა დავიბანოთ.



კვირაში ერთხელ, ზაფხულობით კი დღეში ორჯერ სასარგებლოა აბაზანის მიღება .



მას შემდეგ, რაც იბანავებთ, საჭიროა თეთრეული გამოიცვალოთ. საცვლები და წინდები კი ყოველდღიურად უნდა იცვალოთ.



საჭიროა, ძილის წინ ზაფხულში ცივით და ზამთარში თბილი წყლით ფეხებიც დავიბანოთ.



კვირაში ერთხელ უნდა დავიჭრათ ფრჩხილები. საჭიროა, თმა ყოველდღე დავივარცხნოთ.



ტანსაცმელი და ფეხსაცმელები მალი-მალ ჯაგრისით უნდა გაიწმინდოს. აუცილებელია, მუდამ სუფთა ცხვირსახოცი, ან ქაღალდის სველი ხელსახოცი ვიქონიოთ.



აუცილებელია, სახლში და საკლასო ოთახში სისუფთავე დაიცვათ, წიგნები და რვეულები ყოველთვის წესრიგში ქონდეთ. დრო გამოშვებით მათი გადასაკრავის გამოცვლაა საჭირო.

ეს წესები რომ არ დავიცვათ, ადამიანის სხეული მიკრობების\* შეტევის წინაშე აღმოჩნდება. ეს კი ადამიანის ჯამრთელობაზე ცუდად აისახება და ბოლოს იგი ავადაც გახდება.

**შეკითხვები**



**1. თქვენ რომელ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს იცავთ?**

**2. რა მოხდება ეს წესები რომ არ დავიცვათ?**



დაიცავით სანიტარულ-ჰიგიენური წესები

\* მიკრობი — მიკრო ორგანიზმები, რომლებიც ჯამრთელობისათვის სახიფათოა.

## მცენარეულობა და მათი როლი ადამიანის ჯამრთელობისათვის



სურათებს ყურადღებით დააკვირდით.



რას ნიშნავს „დედა მიწის მწვანე სამოსი“ ?

რა იცით მცენარეების შესახებ?

რატომ მოჰყავთ ადამიანებს მცენარეები?

ყოველდღიურ საკვებში რომელ მცენარეებს ვიყენებთ?

როგორია მცენარეების როლი ადამიანებისა და ცხოველების ცხოვრებაში?

მცენარეები დედა მიწის ზურგზე ქნიან პირობებს იმისათვის, რომ ცოცხალი ორგანიზმები არსებობდნენ. მცენარეები ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ. ისინი კარბონის გაზს შთანქავენ და სამაგიეროდ გამოყოფენ ოქსიგენს, რომელიც აუცილებელია ადამიანის სუთქვისათვის. მცენარეები ყველა სულიერისათვის მათ შორის ადამიანისთვისაც საკვებს წარმოადგენს.

მცენარეები ქალაქის პირობებში შთანქავენ რა მტვერსა და შხმას, ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ ადამიანმა მშვიდად იცხოვროს. ადამიანი მცენარეებისაგან სხვა და სხვა წამლებს ამზადებს. მცენარეებისაგან მზადდება საშენი მასალაც.

მცენარეები თავისი სილამაზით ადამიანებს ხიბლავენ. მასში კარგ განწყობას ქმნიან. ადამიანი თავის შეყვარებულსაც ყვავილს სჩუქნის.

მცენარეები ადამიანის საკვების ძირითდ ნაწილს შეადგენენ.

მცენარეებს ქსოვილებისთვისაც იყენებენ.

ჩვენი ცხოვრება მცენარეების გარეშე წარმოუდგენელია. მცენარეები ალამაზებენ არა მარტო ბუნებასა და ჩვენს ცხოვრებას, არამედ ისინი სხვა საჭირბოროტო და სასარგებლო საქმეებშიც გამოიყენებიან.

ის მცენარეები, რომლებიც გამოიყენებიან ყვავილნარისა და პარკების კეთილმოწყობისათვის დეკორატიულ მცენარეებად იწოდებიან. დეკორატიული მცენარეების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვა და სხვა ნაირია. ასე რომ მათ სამ ჯგუფად ყოფენ: ერთწლოვანნი, ორწლოვანნი და მრავალწლოვანნი.



მცენარეულობის რომელ სახეობას იცნობთ?





თქვენი აზრით, ორწლოვანი მცენარეები რით განსხვავდებიან მრავალწლოვანი მცენარეებისაგან?

**მეხილეობა** — ეს არის სოფლის მეურნეობის სფერო, რომელიც ხილისა და კენკროვანის მოყვანითაა დაკავებული.



**ნაყოფმსხმოიარე მცენარეები**



რომელი მცენარეებია გამოსახული სურათზე? ნაყოფმსხმოიარე მცენარეებს რომელი ნიშნის მიხედვით ჰყოფენ სამ ჯგუფად? რა მზადდება ნაყოფმსხმოიარე მცენარეებისაგან?



**პროდუქტები, რომლებიც ხილბოსტნეულისაგან მზადდება**



**მწვანილების მცენარეები** — ესენი ერთწლოვანები არიან. მათი წვნიანი ნაწილი “ახალი, ან მოხარშული” საკვებად გამოიყენება.



**მწვანილეულობა**



დაასახელე სურათზე მოცემული მწვანილები.

**შეკითხვები**




1. რომელი მცენარეულობა ჩვენს ყოველდღიურ რაციონში?
2. რა როლს თამაშობს მცენარეულობა ადამიანის ცხოვრებაში?
3. რომელი კერძების მომზადებაში გამოიყენება მწვანილეულობა?

## დილის სუფრა

დილით ვსაუზნობთ.



როგორი უნდა იყოს დილის სუფრა?  
რა შედის დილის სუფრაში?



საუზნებე საშუალებას გზადლებს, რომ დღის განმავლობაში კარგ განწყობაზე ვიყოთ.

როცა დილის სუფრას ამზადებენ, მაგიდას ქსოვიოის სუფრას გადააფარებენ. ხელსახოცზე პატარა ნიმჩას დებენ. მის მარცხნივ პირით ზემოს ჩანგალს, მარჯვნივ კი ბასრ დანას ათავსებენ. დანა პირით თეფშისკენ უნდა იყოს შებრუნებული. თეფშის სიახლოვეს ლამბაქი და ფინჯანი თავსდება. ფინჯანის სახელური მარცხნივ ლამბაქში მოთვსებული ჩაის კოვზი კი მარჯვნივ უნდა იყოს. თუ ასე იქნება, მათი მოხმარება იოლდება. მაგიდაზე ყველი კარაქი და მაწონი ცალკე ჭურჭელში თავსდება. დილის სუფრაზე ნახევრად მოხარშული კვერცხი სპეციალური ჭურჭლით იდება. ეს ჭურჭელი საჭიროა პატარა თეფშზე დაიდოს. კვერცხთან ერთად აუცილებლად ჩაის კოვზიც უნდა იყოს.

მაგრად მოხარშული კვერცხი სუფრაზე გაციებული უნდა დაიდოს.

ერბო კვერცხი სუფრაზე ტაფით იდება. მაგიდაზე ასევე უნდა იყოს საპურე, ჯემი, თაფლი და ჭურჭელი, რომელშიც შაქრის ფხვნილი იქნება. რა თქმა უნდა, მარილი და პირპლიც არ უნდა დაგავიწყდეთ.

ასევე შეიძლება, დილის სუფრაზე მორთმეული იყოს ხორცის ნაწარმი (სოსისი და ძეხვი), ბრინჯი და მანნაც დასაშვებია.

## შეკითხვები



1. რომლებია დილის სუფრის ატრებუტები?

2. დილის სუფრაზე საკვების რომელ სახეობებს აწყობენ?

### სადილის სუფრა



• რას ნიშნავს მაგიდის სასადილოდ მომზადება?




- როცა სადილის სუფრას ვშლით, რიდან უნდა დავიწყოთ?
- როგორ უნდა დავალაგოთ ჭურჭელი სადილის დროს?



**სასადილო სუფრის გაშლა- ნიშნავს სუფრის სასადილოდ შედგენასა და მოკაზმვას.**

სადილის სუფრა მოსადილეთა რიცხვის გათვალისწინებით იშლება. თევშები ყველა სკამის წინ მაგიდაზე დაახლოვებით 5-10 სანტიმეტრის მოშორებით ლაგდება, ეს ასეა მიღებული.

სუფრაზე ჯერ ბრტყელი თევშები ლაგდება. თევშებზე ხელსახოცები იდება. და მათზე ღრმა სასადილო ჯამები თავსდება. ხელსახოცი იმიტომ იდება, რომ ჯამი არ დაცურდეს.



დიდი სასადილო ჯამების გვერდით პატარა ჯამებიც თავსდება.

სადილზე წარმოდგენილი პროდუქტების რიცხვი დამოკიდებულია იმ კერძებზე, რომელიც სადილზე იქნება ჩამორიგებული.

მარჯვენა მხარეს ნიმჩასაკენ შებრუნებული ბასრი დანა და საჭმლის კოვზი იდება. ნიმჩის წინ კი დესერტის\* კოვზი თავსდება.

ჩანგლები კი პირშებრუნებული ნიმჩის მარცხენა მხარეს უნდა იდოს.

სასმელებისთვის შუშის ან და ბროლის ჭურჭელი მოიხმარება.

თუ მენიუში მინელარული წყალი, ან და ხილის წვენიც შედის, მაშინ ჯამის უკანა მხარეს წყლის ჭიქაც უნდა იყოს. მაგარი საჭმელები საჭმლის დანით იჭრება.

თუ სადილი მრავალი კერძისაგან შედგება (მაგალითად სალათა, წვნიანი, თევზი, ან კიდევ ხორცის კერძები და დისერტი) მაშინ მაგიდაზე ამის შესაბამისი ჯამ-ჭურჭელიც უნდა დაეწყოს.



რომელი მასალიდან ამზადებენ ხელსახოცებს?

რა შემთხვევაში ქალაღის ხელსახოცი და რა შემთხვევაში ქსოვილის ხელსახოცი მოიხმარება?




ხელსახოცს ხმარობენ იმისათვის, რომ ტანსაცმელი მოულოდნელი ლაქებისაგან დაიცვას. ჭამის წინ ქსოვილის ხელსახოცს კეცავენ და ნაკეცი პირი თავის კენ მუხლებზე იფენენ.

\* დესერტი — ტკბილეულობა, რომელსაც სადილის შემდეგ მიირთმევენ.

თუ ხელები ძლიერ დაგესვარად, პირსახოცის ზემოთა ნაწილზე შეგიძლიათ შეიწმინდოთ. უფრო უკეთესია ხელები და ტუჩები ქალაღდის პირსახოცით გაიწმინდოთ. ქალაღდის პირსახოცები მაგიდაზე სპეციალური ქვეშაგებებით იღება. სადილის შემდეგ საჭიროა ქსოვილის პირსახოცი დავკეცოთ და ნიძის მარჯვენა მხარეს დავდოთ. ნახმარი ქალაღდის პირსახოცი თეფშზე იღება.



ქალაღდის პირსახოცების სხვა და სხვა მეთოდით დაკეცვა.



**შეკითხვები**




1. რისთვისაა პირსახოცები?
2. თქვენ შეგიძლიათ პირსახოცი სხვა და სხვა ნაირად დაკეცვა?
3. როგორ შეიძლება დავკეცოთ ქსოვილის პირსახოცი?



1. გაშალეთ საუზმისა და სადილის სუფრა
2. ისწავლეთ პირსახოცების დაკეცვა ზემოთ წარმოდგენილი სურათების მიხედვით.

## ვახშმის სუფრა



რისგან შედგება ვახშმის სუფრა?  
დააკვირდით სურათს.



რით განსხვავდება ვახშმის სუფრა საუზმის სუფრისაგან?



ვახშმის სუფრაზეც, ისევე როგორც საუზმისა და სადილის სუფრაზე, ხმარობენ ჯამ-ჭურჭელს. თუ ვახშმის სუფრაზე მაწონი, რძე და ხილის წვენი იქნება, მაშინ ჭიქებიც უნდა დაიდოს. ვახშმის სუფრაზე, როგორც წესი, დისერტის ნიმჩებს აწყობენ.

კერძების შესაბამისად ვახშმის სუფრას შეიძლება სხვა საჭმელებიც შემოემატოს. ეს თვითნებური ადამიანის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ვახსამი უაღრესად მსუბუქი უნდა იყოს. რადგანაც ვახშმის შემდეგ საერთო აქტივობა მცირდება. საჭმელი ძილის წინ სამი-ოთხი საათით ადრე უნდა მივიღოთ, რათა მშვიდად მოვიწყოთ. ვახშამზე შეიძლება მივიღოთ სხვადა-სხვა სალათები, მწვანილთან ერთად მოხარშული ხორციელი და თევზეული. უკეთესია ვახშმობისას ქონიანი და შემწვარი საკვები ნაკლებად მივიღოთ.

### შეკითხვები



1. რა არის ვახშმის სუფრის ძირითადი ატრიბუტები?
2. რატომაა საჭირო, რომ ძილის წინ ორი-სამი საათით ადრე ვივახშმოთ?
3. რომელი საჭმელების მიღებას გვირჩევენ სავახშმოდ?

## ქვევის წესები სუფრაზე




რომელი ქვევის წესები უნდა დავიცვათ სუფრაზე?  
რა მნიშვნელობა აქვს სუფრაზე ქვევის წესების დაცვას?



**სუფრაზე ყველა ადამიანმა უნდა დაიცვას ქვემოთ მოყვანილი წესები:**

1. როცა ჭამთ, დიდ ლუკმას ნუ მოკბიჩავთ.
2. როცა ჭამთ, არ ილაპარაკოთ. თუ შეკითხვას დაგისვამენ, ჯერ ლუკმა ჩაყლაპეთ და მერე უპასუხეთ.
3. როცა წყალს სვამთ, ნუ ყლურწავთ. ცხელ კერძს ნუ შეუბერავთ, კოვზით თეფშზე ნუ დააკაკუნებთ.
4. ხორცი წვრილ-წვრილად დაჭერით. ერთ ნაჭერს რომ შეჭამთ, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოაჭერით მორიგი ნაჭერი. მთელ ხორცს ნუ დააქუცმაცებთ, თორემ თქვენი თეფში უწესრიგო იერს მიიღებს და საჭმელი კი მალე გაცივდება.
5. შემწვარი ფრინველის ხორცი პატარ-პატარად დაჭერით და ჩანგლით მიირთვიით. გაჭრა თუ გაგიჭირდათ, მაშინ შეიძლება ხორცი ხელით მოაცილოთ და მიირთვათ.
6. თევზს ფხა შეიძლება ჩანგლით და ხელით მოაცილოთ. თუმცა ამ დროს ხელს არ ილოკავენ, ხელსახოცით შეიწმენდავენ.
7. ნაჭერი, რომელიც შეგიძლიათ ჩანგლით აიღოთ, ხელს ნუ წაავლებთ.
8. საჭმელს დანის პირით ნუ აიღებთ, ეს კარგი არაა, შეიძლება პირი დაიზიანოთ.
9. კომპოტიდან ამოსულ კურკებს ნუ გადმოაფურთხებთ. კოვზი პირთან მიიტანეთ, კურკა ამოიღეთ და ლამბაქზე დადეთ.
10. თუ სუფრიდან რაიმის აღება დაგჭირდათ, მთელი მაგიდის სიგრძეზე ნუ გადასწვდებით, გვერდით მჯდომს თავაზიანათ სთხოვეთ, რომ მოგაწოდოთ.
11. საერთო ჭურჭლიდან ის ნაჭერი აიღეთ რომელიც თქვენთან ახლოსაა. რადგანაც საერთო ჭურჭლიდან შენთვის უკეთესი ნაჭრის ამორჩევა უზრდელობაა.

12. თუ რომელიმე საჭმელის დაჭრა დაგჭირდათ, ჩანგალი მარცხენს, ღსპა კი მარჯვენა ხელში დაიკავეთ. როცა ჭამას მორჩებით კოვზი არ მოლოკოთ. დასვრილი დანა და ჩანგალი მაგიდაზე არ დადოთ.



13. თქვენი დასვრილი ჭურჭელი მეზობლისკენ არ გაწიოთ.

14. როცა ჩაის სვამთ, ჩაის კოვზი ჭიკაში არ ჩატოვოთ - შეიძლება გადაბრუნდეს.

15. ჩაი მოურიეთ და კოვზი ლამბაქზე დადეთ.

16. მაგიდასთან ფეხს-ფეხზე ნუ გადადებთ, ეს უზრდელობაა.

17. ჭამის დროს წიგნს ნუ კითხულობთ - ეს, გარდა იმისა რომ გარემეშო მჯდომთა მიმართ უპატივისმცემლობაა (თითქოს და წიგნი შენთვის მათზე უფრო საინტერესო იყოს), თანაც საზიანოა.

18. პურის მიმართ ყურადღებიანი იყავით, ნუ მოვბიჩავთ და გვერდზე ნუ გადადებთ. თუ რა დიდი ჯაფაა ხორბლის მოყვანაში, მის მოწვენაში, დაფქვასა და პურის გამოცობაში, ნურასოდეს დაივიწყებთ. თანაც ნუ დაივიწყებთ, რომ დედამიწის ზურგზე მილიონებით მშვიერი ბავშვისათვის პურის პატარა ნატეხიც კი სანატრელი რამაა! ასევე თვითეულმა ჩვენთაგანი ყველა სასურსათო ნაწარმს ხელმომჭირნედ უნდა მოვეპყროთ, არ უნდა დავუშვათ მფლანგველობა.

**შეკითხვები**



1. მაგიდის ირგვლივ ქცევის რომელი წესებს იცავენ?
2. რატომ უნდა მოვეპყრათ პურს ეკონომიურად?



1. ვახშმის სუფრა გაშალეთ და ქსოვილის ხელსახოცი “სამკუთხედად” დაკეცედ.
2. ეცადეთ მაგიდასთან ქცევის წესები დაიცვათ.




## გაბრტყელების გზით მიღებული მოხატული პლასტილი



პლასტილინი შეიძლება ფერებით მოვხატოთ. ჯერ გაიხსენეთ ცომს როგორ აბრტყელებენ: იმისათვის, რომ ცომი არ მიეწებოს მაგიდაზე (ან ფიცარზე) ფქვილს მოაფრქვევენ, შემდეგ კი ცომს აპრტყელებენ. თქვენ კი პლასტილინს გააპრტყელებთ. ფქვილის მაგივრად საჭიროა

მაგიდაზე რბილი ქაღალდი ან რვეულის ფურცელი დადოთ.

პლასტილინის გასაბრტყელებლად შეგიძლიათ ცილინდრისებური რაიმე საგანი ან თუმცა კალამი გამოიყენოთ.



ქაღალდის ფურცლებს შორის გააბეტყილეთ პლასტილინი და საფუძველი მოამზადეთ. (1-2-3)

ახლა კი მოხატულობის გაკეთება ისწავლეთ.



**“წრეები”**: მრგვალი საგანი პლასტილინის საფუძველზე დადეთ, ოდნავ დააწეკით და შემოატრიალეთ. შემდეგ კი ეს ადგილი ქაღალდის მეშვეობით ამოიღეთ (1).

**“ზექლები”**: ერთმანეთზე დადებული სხვა და სხვა ზომის ბეჭდისებური საგნები პლასტილინზე მოათავსეთ და ზემოდან გააპრტყილეთ (2).

**“ხაზები”**: ძალზედ წვრილი კანაფების მეშვეობით შეგიძლიათ სწორი და ტალღოვანი ხაზები მიიღოთ.



ახა, ეს მოხატულობა როგორ მივიღოთ?




გამოიყენეთ თქვენს მიერ ათვისებული მოხატულობის ელემენტები, მოიფიქრეთ და თქვენებურად მოხატეთ.

თოჯინა





თქვენ უკვე ხვდებით როგორაა მოხატული ამ თოჯინის პლასტილინის კაბა. აირჩიეთ მოხატულობა მისი ბოლოკაბისათვის.



ბოლოკაბისათვის კარკასი მოამზადეთ. ამისათვის შეგიძლიათ აიღოთ ორი ბოთლის საცობი, რომლებიც ერთმანეთთან პლასტილინით იქნება მიწებებული.



იმისათვის, რომ თვით ბოლოკაბა გააკეთოდ, ფურცელზე ნახევარწრე შემოხაზეთ. ნახევარწრეს რადიუსის დასადგენად საჭიროა კარკასის სიმაღლე სამზე გადავამრავლოდ.



გოფრესთვის კი ფურცლებსშორის მოქცეული პლასტილინი წვრილად გააპრყელეთ და შემდეგ ისე დაკლაკნეთ, როგორც სურათზეა მოცემული.



საყელოს გასაკეთებლად კი წრიული საფუძველი დაამუშავეთ და იმსიათვის, რომ ირგვლივ არშია შემოავლოთ სხვა ფერის პლასტილინი კანაფურად გაწელეთ. შემდეგ კი მისი კიდეები მოქანდაკის დანით გაათანაბრეთ და თითო ტალღისებური ფორმა მიეცით საყელოს.




\* კარკასი – რაიმეს ჩონჩხს, მის საფუძველს ნიშნავს



საყელო შეგიძლიათ მოხატოთ კიდეც. კარკასს ზემოდან პლასტილინი მიაწებეთ.

იმისათვის, რომ მიღებული ზედაპირი გლუვი იყოს, მას ქალაღი შემოავლეთ, ანდა ქალაღის ზედაპირი გადაავლეთ.



სახის დეტალები შეგიძლიათ პატარა ბეჭდისებური საგნებით დაამუშავოთ.



1. თოჯინა ააწყეთ, ისე როგორც სურათზეა მოცემული.
2. თოჯინის აწყობის თანმიმდევრობას კიდეც ერთხელ დააკვირდით.



სურათზე მოცემული სათამაშო მელიები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?




გაკეთეთ ისეთივე სათამაშო მელიები, როგორც სურათზეა მოცემული.

## მოხატული პლასტილინი, რომელიც ჩამოჭრის მეთოდით მიიღება

ჩამოჭრა პლასტილინით მერწვის ორიგინალური ფორმაა. ეს მათოდი თქვენ საშუალებას მოგცემთ პლასტილინისგან ძალზედ ლამაზი საგნები გააკეთოთ. ამ სამუშაოსთვის მჭრელი ხელსაწყო - ძალზედ წვრილი მართული და ცოტა ვარჯიშია საჭირო.


პლასტილინი გააბრტყელეთ.



პლასტილინი კანაფისებურად გააგრძელეთ და იგი იმავე სიგრძის პლასტილინის დაფაზე მოათავსეთ. შემდეგ პლასტილინი ჩამოჭრით და მას პატარა გორგალის ფორმა მიეცით.

### 1-ი მეთოდი

გორგალი ცერა და შუა თითით აიღეთ და მართულის წრე მასთან მიიტანეთ (1).



პლასტილინის გორგალი მართულის წრეში მოაქციეთ და მართული მსუბუქად მოქაჩეთ და პლასტილინი გამოატარეთ (2).

მიღებული წრიული დაფა პლასტილინის გორგალს მოეცილეთ. გააგრძელეთ ამავე სისქის დაფების გამოჭრა.(3).

### 2-ე მეთოდი

ჩამოჭრა სხვა მეთოდიდაც შეიძლება განხორციელდეს. მართულის ბოლოები ორ საყრდენზე (მაგალითად მრგვალ ყუთებზე) დამმაგრეთ და ამგვარად მჭრელი ხელსაწყო მიიღეთ.



ერთი ხელით მჭრელი ხელსაწყოს მართული მოჭიმეთ. მეორე ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით პლასტილინის გორგალი დაიკავეთ და იგი მართულთან მიიტანეთ. გორგალს ისეთი ძალა დაატანეთ, რომ მართულმა გორგალში გაიაროს და ცერა თითს შეეხოს. ჩამოჭრილი წრე გორგალს მოაცილეთ და ამავე ზომის დისკების ჩამოჭრა გააგრძელეთ.

სათამაშო ქათამი




ყურადღებით დააკვირდით სათამაშო ქათამს. ამ სათამაშოს გაკეთებისას რამდენნაირი პლასტილია გამოყენებული?



ქათმის სხეული შეიძლება კარკასზე ავაწყოთ. ქათმის თავი, ფეხები და ფრთები ცალკე გამომერწყეთ და ტანს მიტმასვნიტ მიაწებეთ. ქალაღი დაადეთ და მიწებებული ადგილები კარგად მიატმასნეთ.

ლაქებისთვის ქვემოტ ნაჩვენები პლასტილის მასალა გამოიყენეთ.



ორ თიტს შურის მოქცეულ პლასტილინს მოუჭირეთ და წვრილი გორგლშმაგვარი საგანი გამოიყვანეთ. სხვა ფერის პლასტილინი გააბრტყელეთ და გააკეთეთ სწორკუთხოვანი დაფა. შემდეგ გორგალი ამ დაფაზე დადეთ და დაფა ცილინდრისებურად, ანდა მილისებურად მოკვეცეთ. ამის შემდეგ კი ზემოტა მხრიდან თიტები დააჭირეთ და წვეტის ფორმა მიეცით.



ლაქები ზასრი ხელსაწყოტი მოჭერთ და თიტები გადაუსვით და წვეტს ფორმა მიეცით.

თქვენ უკვე იცით როგორ გააკეთოტ ორფეროვანი დისკები და ლაქები. ახლა კი გააკეთეთ დეტალები, რომელტაც სამი და მეტი ფერი ექნებატ.



როგორ გააკეთებდით პეპელასა და ყვავილებს, რომლებიც სურათებზეა გამოსახული?



# ფერადი პლასტილინი, რომელიც შერევის მეთოდით მიიღება

რა ვიცი ფერების შესახებ?



სანამ შერევის მეთოდით ფერად პლასტილინს მივიღებდეთ, ვუპასუხოთ შეკითხვას “რა ვიცი ფერების შესახებ?”

უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროში ძირითად როლს **კოლორიტი**, ანუ ფერების ჰარმონიული\* შერწყმა თამაშობს. იმისათვის, რომ გარემოში ფერების შერწყმის შესახებ რაიმე ვიცოდეთ, აუცილებელია ვისწავლოთ ფერწერის კანონები.



ქრომატიული ფერები\*\*

ყველა ფერი და მათი სახესხვაობანი

აქრომატიული\*\*\* (ნეიტრალური) ფერები



ძირითადი ფერები

ქრომატიული ფერები

დამატებითი ფერები



თბილი ფერები

ქრომატიული ფერები

ცივი ფერები

ეს სურათები იმას გვიჩვენებენ, თუ წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე და იისფერი რომელ ფერებს შეერწყმის უფრო ჰარმონიულად.



\*ჰარმონიული – ფერთა შეხამება


\*\*ქრომატიული ფერები – ცისარტყელას ფერები

\*\*\*აქრომატიული ფერები – შავი, რუხი და თეთრი ფერი







ორი სხვა და სხვა ფერის პლასტილინი ერთმანეთში ისე აურიეთ რომ, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები ახალი ფერები მივიღოთ.




ახლა შეეცადეთ ერთ რომელიმე ფერს განსხვავებული დოზის თეთრი ფერი შეურიოთ და ძირითადი ფერის სხვა და სხვა შეფერილობა მიიღოთ.



ყურადღებით დააკვირდით სურათს.



**შემოდგომის ქარი**



ეს სურათი სულაც ფერებით არაა დახატული და არც ჩარჩოშია ჩასმული. იგი დამუშავებულია “პლასტილინით მხატვრობის” ტექნიკით. შეეცადეთ ამ ტექნიკას დაეუფლოდ.

ჯერ საფუძველზე - სქელი ქაღალდის, ან კარდონის ზედაპირზე ფონის შესაქმნელად გააპრტყელედ პლასტილინი.



ხის ან და ფოთლების ასასახად თბილი ფერების პალიტრა\* შექმენით. თუ ფერთა სახესხვაობანი არ კმარა, შეგიძლიათ ისინი კიდევ შეურიოთ და სხვა ტონებიც მიიღოთ.

იმისათვის, რომ ხის ტანი შექმნათ, პლასტილინი უფრო სქლად დაამრგვალედ. ფოთლებისთვის კი უფრო თხელი და წვრილი პლასტილინი დაგჭირდებათ. და ეს ყველაფერი მიაწებეთ პლასტილინს, რომელიც ფონს ქმნის. ერთმანეთში შერეული პლასტილინის სხვა და სხვა ფერებიდან პატარ — პატარა ნაწილაკები გამოაცალკევეთ და ფოთლები გააკეთედ.




ბოლო მთავარი მხარე მხატვრული ეფექტის მიღებისათვის: ფოთლები თხელი ფიცრის ნაჭრით გააბრტყელეთ და საჭირო ზომამდე განავრცეთ. ამის შემდეგ მას ზედ ფურცელი დაადეთ და ოდნავ გააპრტყელედ. საფუძველს ზედმეტი ფურცელი ჩამოაჭერეთ. და გააკეთედ ჩარჩო რომელიც ფიცარს მოგვაგონებს.

\* პალიტრა - ფიცრის ნაჭერი, რომელზეც მხატვრები ხატვის პროცესში ფერებს ურევენ.

ბუნებისგან ვსწავლობთ



ბუნება ქვებსა და მინერალებზე იშვიათი სილამაზის მოხატულობებს ქმნის.



მალახიტი(მინერალი)

იასპი

კალციტი



რომელ ქვებსა და მათი მეშვეობით გაკეთებულ საგნებს იცნობთ? იმისათვის, რომ მალახიტის მოხატულობის ეფექტი მივიღოთ ,საჭიროა მწვანე პლასტილინს თეთრი

შავი და ლურჯი პლასტილინები შევურიოთ და მწვანე შეფერილობის დაფები მივიღოთ.



ასანთის კოლოფისაგან სუნდუკი გავაკეთოთ.

ჩამოჭერით ასანთის კოლოფის გარე ნაწილი. წებოს, ანდა პლასტილინის დახმარებით იგი შიდა ნაწილს მიაწებეთ. მერე კი სუნდუკს სხვა და სხვა შეფერილობის პლასტილინი წაუსვით.



თქვენ თვითონ შეარჩიეთ სხვა ქვა, რომელიც სუნდუკს მორთავს.

გაკეთედ ვარდი შერეული პლასტილინიდან.



## რელიეფი. რელიეფის ისტორიიდან. ბარელიეფი

**მოქანდაკეობა** ბერძნული სიტყვა და “ჩამოჭრას, ჩამოთლას” ნიშნავს. ნაწარმოები, რომელსაც მოქანდაკე ქმნის, ქანდაკება ეწოდება. ქანდაკება პლასტიკური და მყარი მასალისაგან გაკეთებული სახვითი ხელოვნების სახეობაა.



**რელიეფი** ფრანგული სიტყვაა და “სწორ სიბრტყეზე ამობურცულ ზედაპირს” ნიშნავს. იგი მოქანდაკეობის ერთ ერთი სახეობაა. რელიეფის სხვა და სხვა სახეობები არსებობს, რომლებიც **ფონიდან\*** გარკვეულწილად ამობურცული სახით წარმოგვიდგებიან.

თუ წოტაზეა ამობურცული, ეს დაბალი რელიეფია და მას **ბარელიეფს** უწოდებენ.



თუ ამობურცული მთავარი ფიგურის მთელი ნაწილიდან ნახევარზე მეტადაა ამოწეული, ეს მაღალი რელიეფია და მას **გორელიეფს** უწოდებენ.



სკვითის\*\* ჭიურჭელი (ბარელიეფი)



ქვაზე გამოსახული ლომის ფიგურაა. (ბარელიეფი)



ვერცხლის ფული, რომელზეც მაკედონელი ალექსანდრეს სახეა გამოსახული (ბარელიეფი)



\* ფონი – სურათის უკანა პლანი.

\*\* სკვითი – უძველესი ხალხის სახელი



**ფაქტურა** (ლათინური სიტყვა და “დამუშავებას, აგებულებას” ნიშნავს) - ნებისმიერი საგნის ზედაპირის აგებულებისა და დამუშავების თვისებებს წარმოადგენს.

პლასტილინის ზედაპირზე შესაძლებელია სხვა და სხვა საგნების კვალი დავტოვოთ და განსხვავებული ფაქტურა მივიღოთ.



ყურადღებით დააკვირდით სამუშაოს განხორციელებას.



როგორ შეიძლება გავაკეთოთ ბარელიეფზე ქვის ნატეხების ფაქტურა?

აღმოსავლურ კულტურაში უძველესი დროიდანაა ცნობილი რელიეფი. ამჟამად რელიეფურ მოხატულობას აძლევენ სახლების კედლებს, ძეგლების \*პოსტამენტებს, მემორიალურ დაფებს, ფულებსა და მედლებს. ნებისმიერი რკინის ფული აიღეთ და მის ზედაპირზე თითი გადაუსვით. ზედაპირიდან ოდნავ ამოზურცულ ნაწილს იგრძნობთ. სწორედ ესაა რელიეფი.



შეეცადეთ გააკეთოდ სურათზე გამოსახული ლომის ბარელიეფი. იმისათვის, რომ ძველი ქვის ფერი მივიღოთ, რომელი ფერის პლასტილინი უნდა შეურიოთ ერთმანეთს?



იმისათვის, რომ საფუძველი მოვამზადოთ, აიღეთ პატარა ბრტყელი ყუთი (ან და ორი ასანთის კოლოფი) და მას პლასტილინი მიაწებეთ. ლომის გამოსახულება ყუთის ზედაპირზე გადაიტანეთ.

**შეკითხვები**



- 1.გამოიცანით სურათზე რომელია რელიეფი და რომელი გორელიეფი.
- 2.ბარელიეფებზე, გორელიეფებზე და ძეგლებზე ასახული ცნობილი ადამიანების სახელები ჩამოთვალიეთ.



გაკვეთედ ბარელიეფი, რომელსაც სურათზე ხედავთ.



\* პოსტამენტი – ძეგლის ქვედა ნაწილი

## დაკვირვების საფუძველზე ძერწვა. პატარა ძეგლი



ბუნებას თუ სწავლობთ? შეამოწმეთ თქვენი თავი. გონების თვალთ გაიხსენეთ და შეეცადეთ გამოძერწოთ ცხოველები, რომლებსაც იცნობთ. ძერწვის დროს ყურადღება მიაქციეთ მათ უმთავრეს თვისებებს.

ყურადღებით დააკვირდით ცხოველს, რომლის ქანდაკების გამოძერწვასაც აპირებთ. მისთვის დამახასიათებელი პოზები დაიმახსოვრეთ. ყურადღება გაამახვილეთ დეტალებზე.



როგორც სურათიდან ჩანს, კატის ფიგურა უნდა შევადგინოთ არა სხვა და სხვა ნაწილებისაგან, არამედ ერთი მთლიანი პლასტილინით. ეს სამუშაო სპეციალური ფიგურის დაფაზე განახორციელეთ.




აუცილებელი არაა გაიმეოროთ მოცემული ნიმუში. შეეცადეთ კატა ისე გამოძერწოთ, როგორც გახსოვთ. დააკვირდით მძინარე კატის ფიგურას.



ჯერ შეეცადეთ, საერთო მზგავსება შეინარჩუნოთ. აქ ცალ—ცალკე დეტალების გამოკვეთა რომც არ იყოს შესაძლებელი, საერთო მასიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ბოლო ჯამში მძინარე კატა გამოვა.

ფორმას ნელინელ ვაკონკრეტებთ. თითოთ ვასწორებთ. სადაც საჭიროა იმ ნაწილებს ვწელავთ. ფიგურას ხელში ან და მთლიანად ფიცართან ერთად ვატრიალებთ.



ალბათ ხედავთ, რომ პლასტილინის მასა თან და თან კატას ემსგზავსება! როგორც სურათიდან ჩანს, კატა მოზუზულია და სძინავს.

დეტალებს მოქანდაკის დანით, ან და კბილის ჩხირით ვაკონკრეტებთ.

### შეკითხვები



1. კატის სურათი, რომელსაც აქ ხედავთ, ბარელიეფია, ძეგლურა თუ გორელიეფი?
2. რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება იმისათვის, რომ კატის პატარა ძეგლი გამოძერწოთ?



გამოძერწეთ პატარა ძეგლი კატისა, რომელიც ვამაშობს, ან მოძრაობს.



# სხვა და სხვა დეტალების მიწებების მეთოდით პერწვა



იცნობ ამ ცხოველებსა და ფრინველებს?





ჩამოთვალე ამ ცხოველების სახელები.

სად ცხოვრობენ ისინი?


რა იცი ცხოველების შესახებ, რომლებსაც სურათებზე ხედავთ?

შესაძლებელია სხვა და სხვა ფერის პლასტილით გამოძერწო ცხოველები და ფრინველები, რომლებიც წინამდებარე სურათებზეა ასახული.

მიაქციეთ ყურადღება ფიგურებს, რომლებიც პლასტილისგანაა გამოძერწილი.



სათამაშო ზებრა



მივაქციოთ ყურადღება სურათზე გამოსახული ზებრის\* გამოძერწვის ტექნოლოგიას.



1. თეთრი ან და ნარინჯის ფერი პლასტილინიდან ზებრას გრძელი კისრისა და ტანის გამოსაძერწად დაამრგვალეთ პლასტილინი.



2. მიღებული სხეული დაბრიცეთ. ფეხები გამოსაძერწავად მოქანდაკეს დანით ჭრილობისმაგვარი ხაზები გაავლეთ. იმისათვის რომ ფიგურა არ წაიქცეს, ფეხები გაშალეთ და ისინი თანმიმდევრულად გააწვრილეთ.



3. პლასტილინი დაამრგვალთ და ყელი გამოიყვანეთ. მისი ერთი ბოლო ოდნავ მოხარეთ და ზებრას თავი გამოკვეთეთ, შემდეგ იგი ტანზე დაამაგრეთ.



4. სათამაშო ზებრას ნაწილები დაასრულეთ და ერთმანეთს მიაერთეთ. შავი ფერის პლასტილინისგან გააკეთედ ზებრას ფაფარი. იგი თავს მიაწებეთ და ოდნავ ატალღული ფორმა მიეცით. ფოთლის მაგვარი ყურები მილისმაგვარი ცხვირი და მეტყველი თვალები მიამაგრეთ.



5. კუდი გამოძერწეთ და უკან მიაწებეთ. სათამაშო ზებრა შავი ფერის პლასტილინით მოხატეთ.


შეკითხვები



1. რომელი ტექნოლოგიური მეთოდები იქნა გამოყენებული ამ სათამაშოს გამოძერწვისას?
2. სამუშაო რომელი თანმიმდევრობით განახორციელეთ?



პლასტილინისგან გამოძერწეთ ცხოველები, რომლებიც ამ სურათზეა მოცემული.



\* ზებრა — შავ ზოლებიანი თეთრი ცხენი

### მოქარგულის ამოჭრა მაკრატლის ისტორიიდან



რა იცით მაკრატლის შესახებ?  
მაკრატელს რომელი ხელობის მფლობელები ხმარობენ?

იმ დროიდან, რაც პირველი მაკრატელი შეიქმნა ათას წელზე მეტია გასული. ეს გახლდათ მაკრატელი, რომელიც გათვალისწინებული იყო ცხვრების გასაპარსავად. მათი პირები ცენტრის ირგვლივ არ მოძრაობდნენ. უბრალოდ ერთმანეთზე მიმაგრებული იყვნენ და ხელის დაჭერით მოძრაობდნენ.



მოგვიანებით ოსტატებმა ორი დანა ლურსმის მეშვეობით ერთმანეთს მიამაგრეს და მათი ტარების ბოლოები ბეჭედივით მოლუნეს. ასე შეიქმნა მაკრატელი. მაკრატელს რკინისგან ფოლადისგან და ვერცხლისგან აკეთებდნენ. მას ძვირფასი ქვებით ამკობდნენ. ზოგჯერ ეს მორთულობა იმდენად ბევრი იყო, რომ მაკრატლის ხმარებას აძნელებდნენ.

#### შეკითხვები



1. დააკვირდით სურათებზე ასახულ მაკრატლებს. თქვენი აზრით რა მიზნით შეიძლება იყოს გამოყენებული ისინი?
2. მაკრატლებს შორის რა სხვაობა დაინახეთ?
3. კიდევ როგორი მაკრატლები იცით?



წიგნებიდან და ენციკლოპედიებიდან მაკრატლის ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციები მოიძიეთ და რეჟულში მოინიშნეთ.



### ქალაღდის ზოლების ომობურცული აპლიკაცია

